



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 224

01 06 2011 წ.

ქ. თბილისი

სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის
დამტკიცების შესახებ

2009 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტროს „საუნივერსიტეტო კურიკულუმის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში შემუშავდა სამართალმცოდნეობის დარგობრივი დოკუმენტის პროექტი. სამართლის მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვანი კომპეტენციების იდენტიფიცირების მიზნით გამოიკითხა 8 მიზნობრივი ჯგუფი - მოსამართლეები, პროკურორები, ადვოკატები, საჯარო მოხელეები, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები კურიკულუმის რეფორმამდე (2005 წლამდე) და შემდეგ, სტუდენტები და აკადემიური პერსონალი. გამოკითხვათა შედეგების მიხედვით გამოიკვეთა ის კომპეტენციები, რომელთა ფლობა იურისტისათვის აუცილებელია. დოკუმენტის სამუშაო ვერსია განთავსდა სსიპ - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე. დოკუმენტთან დაკავშირებული წინადადებებისა და შენიშვნების, აგრეთვე სხვადასხვა აკადემიური სამიტის შედეგების საფუძველზე ჩამოყალიბდა მისი შეჯერებული ვერსია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამართლის რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის უზრუნველსაყოფად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ №3 დანართის („უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო“) პირველი მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის, აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი, დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს ცენტრის სტრატეგიული განვითარებისა და მართვის სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისა და ცენტრის ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი



გ.გ.გი სეფერთელაძე

სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი

I. სფეროს აღწერა

სამართალი აწესრიგებს ინდივიდთა თანაცხოვრებას. მისი დანიშნულებაა, გადაჭრას ნებისმიერი შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი.

მოქმედებას, არსებულ გარემოებებსა და გამომდინარე შედეგს შორის სამართლიანი თანაფარდობა დგინდება კანონით, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში მისი (სამართლიანი თანაფარდობის) უზრუნველყოფა მხოლოდ კანონის სათანადოდ განმარტებით არის შესაძლებელი. თითოეული დებულება არ განიხილება არც შესაბამისი სამართლის სისტემის ინსტიტუტებისა თუ ცნებათა სისტემისგან იზოლირებულად, არც სამართლებრივი წესრიგისათვის დამახასიათებელი ფასეულობებისაგან დამოუკიდებლად. მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების კრიტერიუმთან ერთად, გამოიყენება, მაგალითად, მინიმალური ჩარევის, თანაზომიერების, ეფექტიანობის, ეკონომიურობის, თანმიმდევრულობისა თუ აღსრულებადობის პრინციპები.

იურისტის პროფესია ემსახურება სამართლის დანიშნულების რეალიზებას, სასამართლო სისტემის ფუნქციონირებას. სამართლის პროგრამა არის პროფესიის დაუფლების საშუალება როგორც საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილი, ისე კერძო თუ საჯარო სექტორში დასაქმებული იურისტისათვის.

II. დასაქმების სფერო

დასაქმების სფერო განისაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურის დასრულების შესაბამისად. ცალკეულ პროფესიაში „შესვლის“ წინაპირობაა სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდა.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ამავე დროს, საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამით, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებაზე.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გავლა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მიღება სავალდებულოა უსდ-ში სრული ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. კანონმდებლობითა და შესაბამისი უსდ-ის წესდებით შესაძლებელია, გათვალისწინებული იყოს დამატებითი წინაპირობები.

III. საგანმანათლებლო პროგრამები და სწავლის შედეგები

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240, სამაგისტრო პროგრამა – 120, ხოლო სადოქტორო პროგრამა – 180 კრედიტს.

1. საბაკალავრო პროგრამა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია აიგოს თეორიული ან/და პრაქტიკული პროფილით. სტუდენტს უფლება აქვს, განახორციელოს ინდივიდუალური პროფილის ფორმირება სხვადასხვა სპეციალიზაციის საგნების კონცენტრაციით.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები:

| | |
|--|---|
| <p>ცოდნა და გაცნობიერება</p> | <p>აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო, ხოლო საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის - სიღრმისეული ცოდნა.</p> <p>გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის.</p> <p>კურსდამთავრებულმა იცის: განმარტების მეთოდები; სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი პრინციპები; სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; ქონებრივი სამართალი; ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები; დანაშაულის არსი, სახეები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებები; სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოება; ქართული სამართლის ისტორიული წყაროები.</p> |
| <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> | <p>აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი. შეუძლია იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენა.</p> |
| <p>დასკვნის უნარი</p> | <p>აქვს სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი.</p> |

| | |
|--------------------|---|
| კომუნიკაციის უნარი | აქვს ინფორმაციის მშობლიურ და უცხოურ ენებზე მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობით ფორმით გადაცემის უნარი. |
| სწავლის უნარი | აქვს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. |
| ღირებულებები | იცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით. |

2. სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარება.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები:

| | |
|-------------------------------------|--|
| ცოდნა და გაცნობიერება | აქვს სწავლების სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას. გაცნობიერებული აქვს შესაბამისი სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | განმარტების მეთოდების გამოყენებით შეუძლია სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება. |
| დასკვნის უნარი | ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკისა ან მეცნიერული მიდგომების პირობებში შეუძლია ცვლილების ანალიზი და გამომდინარე დასკვნის ჩამოყალიბება. |
| კომუნიკაციის უნარი | შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენებზე გადასცეს საკუთარი სამართლებრივი დასკვნები და |

| | |
|---------------|--|
| | არგუმენტები. |
| სწავლის უნარი | შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი, გაიფართოოს ცოდნა შესაბამისი სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით. |
| ღირებულებები | მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად ანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს და, საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში. |

3. სადოქტორო პროგრამა

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია თეორიულ-სამეცნიერო პროფილით, იგი სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტების ერთობლიობაა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და სრულდება სადოქტორო ნაშრომის დაცვით.